ბრძანება

N 710
29/12/2022

აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „პულსი-XXI“-ს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

შპს „პულსი-XXI“ (ს/ნ 419982077; იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, ქუჯის ქ. N8, ბ. N64) წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ - რეესტრი) რეგისტრირებულ პირს სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-735944.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა უნდა შედგებოდეს აუდიტორებისაგან, ასევე 50%-ზე მეტი ხმის უფლებას უნდა ფლობდეს რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი, ამავე მუხლის მე-6 პუქნტის თანახმად „აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურსა და პროფესიულ ორგანიზაციას ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.“ ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც არ აკმაყოფილებს რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას და კარგავს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას. რეგისტრაციის გაუქმებისთვის პასუხისმგებელია სამსახური მის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, თავის სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „აუდიტორი“/სიტყვები „აუდიტორული ფირმა.” კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე“.

სამსახურს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეცნობა აუდიტორების რეესტრში რეგისტრირებული პირის, ედიშერ ბულიას ([redacted]) და ოთარი ციმინტიას ([redacted]) გარდაცვალების შესახებ. აღნიშნულ ფაქტებზე სამართლებრივი მსვლელობის განხორციელებისა და შესაბამისი რეაგირებისთვის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) გაეგზავნა სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის N16/100007 წერილი და არსებული ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში ეთხოვა აუდიტორების რეესტრში რეგისტრირებული პირების გარდაცვალების ფაქტების დადასტურება, ასეთის არსებობის

შემთხვევაში. სამსახურს აღნიშნული წერილის პასუხად წარედგინა სააგენტოს 2021 წლის 02 ნოემბრის N01/255140 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N199664/16, 03.11.2022წ.), რომლითაც სამსახურმა მიიღო დადასტურება ედიშერ ბულიას და ოთარი ციმინტიას გარდაცვალების ფაქტის შესახებ. ედიშერ ბულიას და ოთარი ციმინტიას უფლებაუნარიანობის შეწყვეტა წარმოადგენს მათი აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

2022 წლის 18 ნოემბრის N619 და N620 ბრძანებების საფუძველზე შპს „პულსი-XXI"-ს პარტნიორები ედიშერ ბულია და ოთარი ციმინტია აღარ წარმოადგენენ აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ პირებს, აქედან გამომდინარე, აუდიტორულ ფირმაში ხმის უფლებას არ ფლობს რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის დღემდე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ცვლილების შესახებ. შპს „პულსი-XXI" არ აკმაყოფილებს რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, რაც იწვევს აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმებას.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" და „დ" ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს „აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში „შპს „პულსი-XXI"-ს რეგისტრაციის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 17 თებერვლის N313 ბრძანება;

2. გაუქმდეს შპს „პულსი-XXI"-ს აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია;

3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდგომ შპს „პულსი-XXI"-ს აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს აუდიტორების რეესტრში ბრძანების გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

5. ბრძანება გაეგზავნოს შპს „პულსი-XXI"-ს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ.N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

დავით სხილაძე

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი)
აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი